



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №21

2021 წლის 23 დეკემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №26 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016591 თარიღი 25/12/2020) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



თეიმურაზ ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

თავი I.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	23,097.0	8,182.6	14,914.4	26,429.8	11,685.0	14,744.8	25,003.0	8,071.2	16,931.8
გადასახადები	11,007.7	0.0	11,007.7	10,609.2	0.0	10,609.2	13,677.1	0.0	13,677.1
გრანტები	8,183.8	8,182.6	1.2	12,786.4	11,685.0	1,101.4	8,344.9	8,071.2	273.7
სხვა შემოსავლები	3,905.6	0.0	3,905.6	3,034.2	0.0	3,034.2	2,981.0	0.0	2,981.0
II. ხარჯები	11,344.7	621.8	10,722.9	12,921.7	1,617.9	11,303.8	13,964.9	583.7	13,381.3
შრომის ანაზღაურება	2,270.5	77.5	2,193.0	2,231.9	78.6	2,153.3	2,302.0	78.8	2,223.2
საქონელი და მომსახურება	1,408.7	230.0	1,178.8	2,441.5	974.2	1,467.3	2,871.5	434.4	2,437.1
პროცენტი	27.8	0.0	27.8	31.8	0.0	31.8	31.8	0.0	31.8
სუბსიდიები	5,830.0	68.6	5,761.4	6,058.7	57.6	6,001.1	6,637.1	64.8	6,572.3
გრანტები	17.9	0.0	17.9	33.9	0.0	33.9	30.9	0.0	30.9
სოციალური უზრუნველყოფა	1,146.7	2.9	1,143.8	1,276.9	6.6	1,270.2	1,448.5	3.8	1,444.6
სხვა ხარჯები	643.1	242.8	400.3	847.1	500.9	346.2	643.2	1.8	641.4
III. საოპერაციო სალდო	11,752.3	7,560.8	4,191.5	13,508.1	10,067.1	3,441.0	11,038.1	7,487.6	3,550.5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,491.3	7,563.8	3,927.5	17,607.7	10,775.1	6,832.6	15,101.2	7,715.8	7,385.4
ზრდა	11,903.2	7,563.8	4,339.4	17,707.7	10,775.1	6,932.6	15,401.2	7,715.8	7,685.4
კლება	412.0	0.0	412.0	100.0	0.0	100.0	300.0	0.0	300.0
V. მთლიანი სალდო	261.1	-3.0	264.0	-4,099.6	-708.0	-3,391.6	-4,063.1	-228.3	-3,834.9

VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	233.3	-3.0	236.2	4,155.2	-708.0	-3,447.2	4,118.7	-228.3	-3,890.5
ზრდა	236.2	0.0	236.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	236.2		236.2	0.0			0.0		
კლება	3.0	3.0	0.0	4,155.2	708.0	3,447.2	4,118.7	228.3	3,890.5
ვალუტა და დეპოზიტები	3.0	3.0		4,155.2	708.0	3,447.2	4,118.7	228.3	3,890.5
VII. ვალდებულებები ს ცვლილება	-27.8	0.0	-27.8	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	23,509.0	8,182.6	15,326.4	26,529.8	11,685.0	14,844.8	25303.03	8071.216	17231.81
შემოსავლები	23,097.0	8,182.6	14,914.4	26,429.8	11,685.0	14,744.8	25003.03	8071.216	16931.81
არაფინანსური აქტივების კლება	412.0	0.0	412.0	100.0	0.0	100.0	300	0	300
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0			
გადასახდელები	23,275.7	8185.6	15090.1	30685.0	12393.0	18292.0	29421.78	8299.48	21122.3
ხარჯები	11,344.7	621.8	10722.9	12921.7	1617.9	11303.8	13964.95	583.659	13381.29
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,903.2	7563.8	4339.4	17707.7	10775.1	6932.6	15401.23	7715.821	7685.406
ვალდებულებების კლება	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0	55.6
ნაშთის				-					

მუხლი 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 25 003,0 ათასი ლარით:

ათას ლარიში

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	23,097.0	8,182.6	14,914.4	26,429.8	11,685.0	14,744.8	25,003.0	8,071.2	16,931.8
გადასახადები	11,007.7	0.0	11,007.7	10,609.2	0.0	10,609.2	13,677.1	0.0	13,677.1
გრანტები	8,183.8	8,182.6	1.2	12,786.4	11,685.0	1,101.4	8,344.9	8,071.2	273.7
სხვა შემოსავლები	3,905.6	0.0	3,905.6	3,034.2	0.0	3,034.2	2,981.0	0.0	2,981.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 25 003,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

[illegible]

უფლებამოსილების განსახორციელებლად									
სპეციალური ტრანსფერი	0.0			1,100.0		1,100.0	0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,012.6	8,012.6	0.0	11,246.4	11,246.4	0.0	7,901.2	7,901.2	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	5,997.4	5,997.4		7,491.5	7,491.5		6,863.8	6,863.8	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	696.3	696.3		704.0	704.0		704.0	704.0	
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება	1,044.1	1,044.1		2,360.9	2,360.9		333.4	333.4	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	274.8	274.8		690.0	690.0		0.0		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2 981,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	3,905.6	0.0	3,905.6	3,034.2	0.0	3,034.2	2,981.0	0.0	2,981.0
შემოსავლები საკუთრებიდან	698.2	0.0	698.2	220.0	0.0	220.0	742.7	0.0	742.7
პროცენტები	312.6		312.6	0.0			275.0		275.0
რენტა	385.6	0.0	385.6	220.0	0.0	220.0	467.7	0.0	467.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	349.3		349.3	200.0		200.0	418.2		418.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) ეკონომიკიდან	36.3		36.3	20.0		20.0	49.4		49.4

სუბსიდიები	5,830 .0	68.6	5,761.4	6,058.7	57.6	6,001.1	6,637.1	64.8	6,572.3
გრანტები	17.9	0.0	17.9	33.9	0.0	33.9	30.9	0.0	30.9
სოციალური უზრუნველყოფა	1,146 .7	2.9	1,143.8	1,276.9	6.6	1,270.2	1,448.5	3.8	1,444.6
სხვა ხარჯები	643.1	242.8	400.3	847.1	500.9	346.2	643.2	1.8	641.4

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 15 101,2 ათასი ლარით. მათ შორის,

ა) განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა - 15 401,2 ათასი ლარით თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

ორგ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	144.7	449.6	334.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10,407.8	14,353.9	13,121.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.7	191.6	361.9
04 00	განათლება	1,022.8	2,337.2	520.5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	316.2	369.9	1,012.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	9.0	5.5	50.0
	სულ	11,903.2	17,707.7	15,401.2

ბ) განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება - 300,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	412.0	0.0	412.0	100.0	0.0	100.0	300.0	0.0	300.0
მირითადი	98.5		98.5	20.0		20.0	10.0		10.0

მატერიალური მარაგები	0.0			0.0			0.0		
ფასეულობები	0.0			0.0			0.0		
არაწარმოებული აქტივები	313.5	0.0	313.5	80.0	0.0	80.0	290.0	0.0	290.0
მიწა	313.5		313.5	80.0		80.0	290.0		290.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში თანდართული რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,251.7	95.5	3,156.2	3,700.0	103.7	3,596.3	3,747.1	102.9	3,644.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,232.3	95.5	3,136.8	3,667.3	103.7	3,563.6	3,693.4	102.9	3,590.5
7011.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,111.9	95.5	3,016.4	3,253.1	103.7	3,149.3	3,359.1	102.9	3,256.2
7011.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	120.4	0.0	120.4	414.2	0.0	414.2	334.3	0.0	334.3
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	19.4	0.0	19.4	22.6	0.0	22.6	27.5	0.0	27.5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0	10.1	0.0	10.1	26.1	0.0	26.1

704	ეკონომიკური საქმიანობა	8,958.1	5,741.2	3,216.9	13,793.3	9,360.7	4,432.6	11,476.4	6,976.3	4,500.1
7045	ტრანსპორტი	7,569.4	5,022.5	2,546.9	12,287.9	8,642.9	3,644.9	10,465.9	6,265.3	4,200.6
7045 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,569.4	5,022.5	2,546.9	12,287.9	8,642.9	3,644.9	10,465.9	6,265.3	4,200.6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,388.7	718.7	670.0	1,505.4	717.8	787.6	1,010.5	711.0	299.5
705	გარემოს დაცვა	1,522.4	606.5	915.9	1,746.9	395.3	1,351.7	2,115.0	37.6	2,077.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	900.2	0.0	900.2	77.0	0.0	77.0	0.0	0.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	622.2	606.5	15.7	399.5	126.6	272.9	370.2	16.8	353.5
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	1,270.4	268.7	1,001.8	1,744.7	20.9	1,723.9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,633.2	760.9	1,872.3	2,798.1	51.5	2,746.6	3,728.7	663.1	3,065.6
7061	ბინათმშენებლობა	1,062.0	760.9	301.1	241.8	20.8	221.0	574.0	10.1	563.9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	899.2	0.0	899.2	59.6	0.0	59.6	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	225.3	0.0	225.3	1,024.0	30.7	993.3	1,149.4	653.0	496.4
7064	გარე განათება	367.2	0.0	367.2	666.3	0.0	666.3	755.6	0.0	755.6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	79.5	0.0	79.5	806.5	0.0	806.5	1,249.7	0.0	1,249.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	93.9	68.6	25.3	96.0	62.1	33.9	131.8	64.8	67.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	93.9	68.6	25.3	96.0	62.1	33.9	131.8	64.8	67.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,116.1	0.0	2,116.1	2,123.2	0.0	2,123.2	3,152.6	0.0	3,152.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	773.8	0.0	773.8	854.9	0.0	854.9	1,734.0	0.0	1,734.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,242.3	0.0	1,242.3	1,166.0	0.0	1,166.0	1,314.4	0.0	1,314.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	0.0	0.0	2.3	0.0	2.3	4.3	0.0	4.3

7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
709	განათლება	3,217.0	910.0	2,307.0	4,756.0	2,413.7	2,342.3	3,151.7	451.7	2,700.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,304.1	0.0	2,304.1	2,342.3	0.0	2,342.3	2,700.0	0.0	2,700.0
7092	ზოგადი განათლება	912.9	910.0	2.9	2,413.7	2,413.7	0.0	451.7	451.7	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	912.9	910.0	2.9	2,413.7	2,413.7	0.0	451.7	451.7	0.0
710	სოციალური დაცვა	1,455.6	2.9	1,452.7	1,615.8	6.0	1,609.8	1,862.9	3.0	1,859.9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	458.9	0.0	458.9	502.6	0.0	502.6	604.2	0.0	604.2
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	458.9	0.0	458.9	502.6	0.0	502.6	604.2	0.0	604.2
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	3.0	0.0	3.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	77.4	0.0	77.4	95.0	0.0	95.0	105.0	0.0	105.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	919.3	2.9	916.4	1,017.2	6.0	1,011.2	1,150.6	3.0	1,147.6
	სულ	23,247.9	8,185.6	15,062.3	30,629.4	12,393.0	18,236.4	29,366.2	8,299.5	21,066.7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 4063,1 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 11 038,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
III. საოპერაციო სალდო	11,752.3	7,560.8	4,191.5	13,508.1	10,067.1	3,441.0	11,038.1	7,487.6	3,550.5
V. მთლიანი სალდო	261.1	-3.0	264.0	-4,099.6	-708.0	-3,391.6	-4,063.1	-228.3	-3,834.9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -4118,7 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 4118,7 ათასი ლარის ოდენობით.

2021 წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 4 253 662 ლარიდან, მერის ბრძანებით 241 958 ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისათვის, მოხდა ქონების შემცირების კომპენსირება 400 000 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ვალდებულებები განისაზღვრა 2 139 588 ლარი, 2020 წლის გარდამავალი პროექტები, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2020 წელს - 270 772 ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
VII. ვალდებულებების ცვლილება	-27.8	0.0	-27.8	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
კლება	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2021 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენს 394.0 ათ ლარს, 2021 წლისთვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) იგეგმება ვალის შემცირება 83.7 ათ. ლარით, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩება ვალი 310.5 ათ. ლარი.

თავი II. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება პროგრამული კოდი 02 00

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 15 513,3 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდგომ რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15,513.3	7,656.1	7,857.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10,465.9	6,265.3	4,200.6
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	10,200.2	6,264.4	3,935.8
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	179.0	0.0	179.0
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	86.7	0.9	85.8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,519.7	669.8	849.9
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	370.2	16.8	353.5
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1,149.4	653.0	496.4
02 03	გარე განათება	755.6	0.0	755.6
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	647.7	0.0	647.7
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	107.9	0.0	107.9
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	49.3	10.1	39.3
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	450.6	0.0	450.6
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,261.8	0.0	1,261.8
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	74.0	0.0	74.0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	370.0	0.0	370.0
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	817.8	0.0	817.8
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	759.7	711.0	48.7
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	51.0	0.0	51.0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	199.8	0.0	199.8

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მდინარეებზე ხიდ-ბოგირების მოწყობა, რეაბილიტაცია. ასევე საჭიროების შემთხვევაში გზის თოვლის საფარისგან გაწმენდა, ორმოული შეკეთება და სტიქიისა შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		10 465,9
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით; ამასთან განხორციელდება სახელმწიფო და საპროექტო სამუშაოების დაფინანსება. ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდება გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		10 200,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ბეტონის საფარით. კერძოდ: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ამ ეტაპისთვის შემდეგი პროექტების განხორციელება: -სოფ. ფარცხანაყანების №11, №12, №13 და №14 ქუჩების გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 1200 გრძ.მ -სოფ. მალლაკის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 1700 გრძ.მ - ქ. წყალტუბოს ვაჟა-ფშაველას ქ. გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 45 გრძ.მ -ქ. წყალტუბოს ჭავჭავაძის ქ. №3 ბინის მიმდებარე გზის რეაბილიტაცია ასფალტით - 45 გრძ.მ -ქ. წყალტუბოს მ.სამაკაშვილის ქ. II ჩიხის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 100 გრძ.მ -ქ. წყალტუბოს ჭავჭავაძის ქ. II ჩიხი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 60 გრძ.მ -ქ. წყალტუბოს აკ. შანიძის №4 ბინის მიმდ.ტერ. გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 110 გრძ.მ -ქ. წყალტუბოში ცენტრალური სტადიონთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტით - 95 გრძ.მ ასევე პროგრამის ფარგლებში რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი თანადაფინანსებით განხორციელდება პროექტები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გეგუთის გზის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ოფშკვითში ინანეიშვილების უბანი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ოფშკვითში კაპანაძეების უბანი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ოფშკვითში მარგველაშვილების უბანი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიტირი ბაბუნაშვილების უბანი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფ. წყალტუბოში მე2 უბნის და სოფ. ჩუენეშის დამაკავშირებელი გზის (პირვ. ეტაპის) სამუშაოების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ თერნალში ზიკაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფ. გვიშტიბში #1 (ბევნარას უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. ასევე განხორციელდება საყულაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში 26-ე ქუჩის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი 20 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების ამომცნობი ანალიტიკური პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების და 69 ერთეული ზოგადი ხედვის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მოვლა-შენახვის ხარჯი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეხინდრისთავში (ლეხინდრისთავი ლეყერეთის) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია; სოფელ საყულაში (ახალი საყულა) ეკლესიასთან და სპორტულ მოედანთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;ქ. წყალტუბოს შარტავას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია;სოფ. ქვიტირში მე-5 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია;ქ. წყალტუბოში ყაზბეგის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია;წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მალლაკში მე-8 ქუჩაზე და მე-9 შესახვევის პირველ ჩიხში, გზაზე ბეტონის საფარით რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონი-სორმონის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში (ამალგის უბანი) გზის ასფალტის საფარით რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთი-პატრიკეთის გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუენეშში ტაძართან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია; ქალაქ წყალტუბოში, გოგებაშვილის ქუჩაზე 2^ბ ბინის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხომლისა და ქილიშორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		

	რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩის გზის რეაბილიტაცია; სოფ. გვიშტიში თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე გზის რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში ტაბიძისა და აღმაშენებლის ქუჩის კვეთაზე სარკინიგზო გადასასვლელის რეაბილიტაცია. გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2021 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		179,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეუფერხებელი გადაადგილება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 04		86,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში ხიდ-ბოგირის და ქუთაისის ქუჩაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობა. ასევე პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა ლოკაციებზეც, რომლის შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეუფერხებელი გადაადგილება		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1519,7
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.		

მოსალოდნელი შედეგი	• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		370,2
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციას, კერძოდ სანიაღვრე არხის გაწმენდა: ქ.წყალტუბოს გორგასლის, ბარათაშვილის, ჭონქაძის, თბილისისა და ყაზბეგის ქუჩების მონაკვეთებზე. ქვეპროგრამით ასევე მოეწყობა ქ. წყალტუბოში გამსახურდიასა და გოგებაშვილის ქუჩებზე სანიაღვრე არხები ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე არხები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		1149,4
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური; მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ წყალტუბოში ფუტკარამების უბანში, სოფელ ჩუნეში, სოფელ ყუმისთავი , სოფ. ცხუნკურსა და სოფ. ზედა ხომულში, სოფ. გუმბრასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსება. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. გუმბრაში №12 და №13 ბინებთან საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა;		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		755,6
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: • გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; • გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		

შედეგი	პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.
--------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		647,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური; მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		107,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის ქვეპროგრამის მოხდება ქსელის მოწყობა წყალტუბოსა მუნიციპალიტეტის სოფლებში მუხიანი, ოფშკვითი, გეგუთი, სოფ.ტყაჩირი და ახალ საყულია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	• მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. • პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		49,3
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოხდება საკონცერტო დარბაზ „ივერია“-ს სახურავის შეკეთება; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში და სამხატვრო გალერიაში ოთახების სარემონტო სამუშაოები; ქ. წყალტუბოში, კოსტავას ქ #4 ბინის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა - ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში, ცივი ტბის მიმდებარედ ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ავარიული შენობების საგარანტიო თანხების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი			

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02_05		450,6
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გაწმენებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეთი მილების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---------------------------------------	----------------------------------

	02 06		1 261,8
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: • საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, • წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება;		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული შენობების რეაბილიტირებული ფასადები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		74,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	• გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; • მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		370,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. წყალტუბოში ჭავჭავაძისა და თამარ მეფის ქუჩებზე, ასევე თბილისის ქ. №1 და ჩოლოყაშვილის ქ. №1 ბინებთან სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაბრში სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება - რეაბილიტაცია მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელებისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 04		817,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია;		
მოსალოდნელი შედეგი	• გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; • ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		759,7
პროგრამის	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის		

ლი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგარანტიო თანხების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		51,0
პროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.	
მოსალოდნელი შედეგი		ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.	
პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		199,8
პროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.	
მოსალოდნელი შედეგი		შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო სტანდარტებს.	

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 806,7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,806.7	20.9	1,785.8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	53.3	0.0	53.3
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1,050.9	0.0	1,050.9

03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	618.5	20.9	597.7
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერები	84.0	0.0	84.0

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		53.3
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები		

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		1050,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.		
მოსალოდნელი შედეგი	• გაუმჯობესებული სანიტარული პირობები; • მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		618,5
პროგრამის განმახორციელებელი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროექტის ფარგლებში განხორციელდება მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში იგეგმება ერთი ნაგებობისა და სეპარირებისთვის საჭირო 60-მდე ბუნკერის შეშენა, 10 საკომპოსტე მოედნის მოწყობა, ცნობიერების ამაღლების მიზნით საგაზაფხულო ბანაკების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანხმდელი ღონისძიებები. პროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების რეალიზაციას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას, ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	• გაუმჯობესებული მწვანე გარემო;		

პროგრამის დასახელება	კოდი	ნაგავშემკრები კონტეინერები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 05		84,0
პროგრამის	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (საირრითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის		

ლი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 151,7 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	3,151.7	451.7	2,700.0
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2,700.0	0.0	2,700.0
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	451.7	451.7	0.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2700,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი 1850 აღსაზრდელით. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საადმინისტრაციო პროგრამა / მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უზრუნველყოფის მიზნით ბაგა - ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		451,7
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		

დამიზანი	დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების ხელშეწყობა

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3152,6 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამის კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3,152.6	0.0	3,152.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,734.0	0.0	1,734.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	40.2	0.0	40.2
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,693.8	0.0	1,693.8
05 01 02 01	წყალტუბო არენა	140.0	0.0	140.0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	565.0	0.0	565.0
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	988.8	0.0	988.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,414.4	0.0	1,414.4
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,250.5	0.0	1,250.5
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	500.5	0.0	500.5
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	650.0	0.0	650.0
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	100.0	0.0	100.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	63.9	0.0	63.9
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	4.3	0.0	4.3

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1734,0
პროგრამის განმახორციელები	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		

ლი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება, ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		40,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდვის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გურამ ქურასხედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მარათონი; სულიკო ნიქაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; ნოდარ კობრეძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სექციის სპორტსმენებისათვის ფორმებისა და სპორტული ინვენტარის შესყიდვა.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდობის გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		1693,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გადამცემის, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბო არენა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		140,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო არენა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება, ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.		

